* * *

ოზურგეთის რაიონში ვცხოვრობ ბაბუა, სოფელ ლიხაურში, 80 წელს მუუყარე თავი და ახლა გევიგე შვილიშვილისგან, რომე ჩვენი მუნიციპალიტეტი რაცხა "მერების შეთანხმებაში" ყოფილა ჩართული, 2030 წლიზა მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი ჰაერში მავნე აირები და მაქსიმალურად გამოყენებული ენერგიის განახლებადი წყაროები. ჰოდა, ჩემო ბატონო, პელეტებით უნდა გავთბეთ ამ ზამთარში და მზის პანელებით უნდა მივიღოთ ელექტროენერგიაო, ბჟუტურობს რაცხას ჩემი ბადიში. სა გინახიენ ნარჩენებით გამთბარი კაცი და მზით გამომუშავებული დენი. სიბერემდე სიქაჩლეს ელოდეო, ამაზეა ნათქვამი. არა, ეგება მე ვერ ვხთები, მითხარით ვინცხამ, თვარა მევიჯაყე სოფელ-ქვეყანაში, გააბდლებულა ამბაკოს შვილიშვილიო, არ იტყვიან? ეეჰ, ახლა ვბრაზობ და ასე ვჩივი, თვარა მეც კი მაინტერესებს ენერგიის ახალი წყაროები, რაც თავი მახსოვს, ხელები გადაქლარჩული მქონდა შეშის ნაპობი, მერე სახლში შემოტანა გვეზარებოდა, ერთმანეთს ვებაძებოდით, არა შენ და არა მეო, ცეხლის დანთებისხან გეიმურებოდა ყველაფერი, თურმე იწამლებოდა გარემო, გეიგეთ ახლა თქვენ, რამდენი დანაშაული მაქვს ჩადენილი ბუნების წინაშე? გუშხამ მეიტანა ბაღანამ რაცხა უშველებელი მახინები, მოვკტი კაცი ინტერესით, ნეტა რაია თქვა და ამიხსნეს, მზის პანელებია, დევისვენებთ დენის გადასახადიდან, მზის ენერგიას გარდავქმნით ელექტროენერგიადო. მზე ფულს როის გვახდიებდა მეთქი, ვიხუმრე ჩემი ჭკუით. ბევრი რომ არ ვიბჟუტურო, მართლა კაი იქნება აი ამბავი, წაბაძულობით ვაცი დამაკდაო და მეზობლებიც გააკეთებენ. მარა, აი მზეი რამდენს ეყოფა არ ვიცი, თავი გამისკდება ამდენი ფიქრითა და ჯავრით. ბუნების შესაძლებლობები რომ უსაზღვროა, რათ უნდა ლაპარაკი, ქარის წისქვილებია ნაკლები თუ? ისე, სა იყო, ბაბუა, მაგენი, მე რომ სახლის გვერდზე, ღელეზე მინიელექტროსადგური დავამონტაჟე, ირგვლივ რომ ყორისფელი ჩაბლისკინებული იყო, ჩემსას სინათლეც ენთო და სერიალსაც ვუყურებდი ტელევიზორში. დევიღალე, ბაბუა, ამდენი ფიქრით, მიმელულა და სიზმარი ვნახე, ჭიშკარზე სამი ქვითარი იყო ჩამოცმული, მზის, ქარისა და წვიმის, გათბობის და განათების საფასურს ითხოვდნენ, გეყურებიენ თქვენ? ხომ გიჩიოდით და კიდო გიმეორებთ: უფასო დარჩა ვითომ რამე ქვეყანაზე?